

შპს „ქ. რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ 2024 წლის წლიური ანგარიშის

საქმიანობის მონაცემთა განმარტებები.

მოკლე მიმოხილვა

1. შპს „ქ. რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“
2. ქ. რუსთავი, წმინდა ნინოს ქ. # 5
3. საკონტაქტო ინფორმაცია:
4. ტელ: + 995 341 24 18 05
5. ელფოსტა: rustavipsiqiatriuli@gmail.com
6. საკონტაქტო პირი: მანანა ელიაშვილი (დირექტორი)
7. საიდენტიფიკაციო კოდი: 216296880
8. სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
9. დამფუძნებლები: სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
10. კაპიტალი: 668713 ლარი
11. სახელმწიფოს წილი: 100%
12. საქმიანობა: სამკურნალო დაწესებულება
13. დასაქმებულთა რაოდენობა: 78
14. საშუალო ხელფასი: 1162 ლარი

I. საანგარიშო წლის შედეგები

2024 წელს, ცენტრის შემოსავლების უდიდეს ნაწილს შეადგენდა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამიდან შემოსული დაფინანსება. კერძოდ, 2024 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის (2023 წლის 29 დეკემბრის მთავრობის დადგენილება N529) ფარგლებში ცენტრის სხვადასხვა სერვისებიდან დაფინანსება შეადგენდა:

- ✓ ამბულატორიული კომპონენტი – წლიური 1 000 800 ლარი
- ✓ მობილური გუნდების კომპონენტი - წლიური 374 400 ლარი
- ✓ კრიზისული მომსახურების კომპონენტი – 137 880 ლარი
- ✓ ფსიქიტრიული სტაციონარული კომპონენტი – წლიური 521 950 ლარი.

2024 წლის ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამაში კვლავ დარჩა განსაზღვრული მოთხოვნები.

• სათემო ამბულატორიულ კომპონენტი:

- ✓ სამედიცინო პერსონალის შტატი 70 000– 100 000 მოსახლეზე უნდა შეადგენდეს 1 ფსიქიატრს, 1.5 ექთანს, 0.5 სოც.მუშაკს/ფსიქოლოგს.
- ✓ პერსონალის სახელფასო ხარჯი არანაკლებ 35%.
- ✓ გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვა.

- ✓ კონკრეტულად გაიწერა თუ რა ჩარევები უნდა განხორციელდეს, მათ შორის ბინაზე ვიზიტები.

- **სათემო მობილური გუნდების კომპონენტი:**

- ✓ დაწესებულების ოთხი მობილური გუნდი მომსახურებას უწევს რუსთავი, გარდაბანი-თეთრიწყარო, მარნეულის და ბოლნისის რაიონის მოსახლეობას.
- ✓ განსაზღვრულია მობილური გუნდის შემადგენლობა არანაკლებ სამი წევრისა (ფსიქიატრი, ექთანი/უმცროსი ექიმი, სოც. მუშაკი/ფსიქოლოგი)
- ✓ მობილური გუნდის პერსონალის ხელფასი არანაკლებ 35%-ისა.
- ✓ სერვისის განხორციელება საცხოვრებელ ადგილზე, რაც ზრდის ტრანსპორტირების ხარჯს.

- **სტაციონარული კომპონენტი :**

2024 წლის ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამაში სტაციონარული მომსახურების დაფინანსება ხდებოდა საწოლდღის მიხედვით: 1 საწოლდღე 65 ლარი. ვინაიდან ჩვენი ცენტრის სტაციონარულ განყოფილებაში არის 22 საწოლი, პროგრამულად თვითურმა ზედა ზღვარმა შეადგინა 44 330 ლარი. ქვეყნაში ფსიქიატრიული საწოლების დეფიციტის გამო, გაზრდილი იყო პაციენტების მომართვიანობა. დაწესებულება, მიუხედავად სანებართვო პირობებით განსაზღვრული 22 საწოლისა, ხშირ შემთხვევაში (პაციენტის მდგომარეობის გათვალისწინებით) იღებდა განსაზღვრულზე მეტ პაციენტს. თვითური დაფინანსება კი იყო არაუმეტეს 44 330 ლარი. რიგ შემთხვევებში კი სტაციონარში 22-ივე საწოლი არ იყო დატვირთული და/ან თვის დღეები იყო 30 ან 28. შესაბამისად იკლებდა დაფინანსება. აღნიშნულის გამო წლიური შემოსავალმა სტაციონარული პროგრამიდან შეადგინა 527 085 ლარი.

- ✓ ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 2 040 165 ლარი;
- ✓ შიდა სტანდარტით შემოსავალი, არაპროგრამული პაციენტებისგან - 26 007.1 ლარი.
- ✓ არასაოპერაციო შემოსავალი 84 557,37 ლარი. აქედან:
 1. საქართველოს და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტებთან ხელშეკრულების საფუძველზე რეზიდენტურის პროგრამის განხორციელება, საიდანაც შემოსავლებმა შეადგინა 27 400 ლარი.
 2. თი ბისი ბაკში არსებული ანაბარის პროცენტის რეალიზაცია 11 915,37 ლარი.
 3. დაწესებულებამ საბოლოოდ მოიგო სასამართლო დავა რეგულირების სააგენტოსთან 1 საქმეზე - საურავი შეადგენს 45 242 ლარს.

სულ 2024 წელს დაწესებულების შემოსავალი - 2 150 729,47 ლარი.

დაწესებულების დანახარჯები:

1. შრომის ანაზღაურება (დარიცხული ხელფასი, საპენსიო ანარიცხები და სხვა სარგებელი	1409238 ლარი;
2. ნედლეული და მასალების ღირებულება	299307,5 ლარი;
3. კვების ხარჯი	146197,8 ლარი;
4. ტრანსპორტის ხარჯი (შეკეთება, საწვავ-საცხები მასალები და სხვა	25414,02 ლარი;
5. ლაბორატორიული გამოკვლევები	9607,75 ლარი;
6. საიჯარო გადასახადი	6000 ლარი;
7. ცვეთა/ამორტიზაცია	23080 ლარი;
8. კომუნალური ხარჯები	3800 ლარი;
9. საკონსულტაციო და აუდიტორული მომსახურება	10900 ლარი;
10. საოფისე და საკანცელარიო ხარჯები	12080 ლარი;
11. სხვა ხარჯები	120140,6 ლარი.
სულ პირდაპირი დანახარჯები	2054965,82 ლარი.

არასაოპერაციო ხარჯები: (მოგებული სასამართლო პროცესზე

იურისტის მომსახურება და უნივერსიტეტებთან გაფორმებული

ხელშეკრულების საფუძველზე - რეზიდენტებთან მუშაობაზე

პასუხისმგებელი პირის მომსახურების თანხა).

13140 ლარი.

სულ მთლიანი ხარჯები

2068105,82 ლარი.

გაწეულ ხარჯებზე არსებობს შესაბამისი ბრძანებები და სხვა ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც ნაკლებ რისკს იწვევს მოსალოდნელ უზუსტობებზე, ვინაიდან ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები შესაბამისობაშია ყველა ოპერაციასთან.

წლიური წმინდა მოგებამ შეადგინა - (2150729.47ლ-2054965.82ლ)82 623.65 ლარი.

დაწესებულებას 2024 წელს კვლავ ვალდებულებაში დარჩა სამედიცინო რეგულირების სააგენტოსთან კიდევ ერთი საქმე - საურავი 97656 ლარი. (სარჩელი მოიცავდა 2015-2017 წლის სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლას და წლების მიხედვით გაიყო ორ საქმედ. აქედან ერთი სარჩელი 45 242 ლარი, დაწესებულებამ სრულად მოიგო. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენი ცენტრის სასარგებლოდ იყო, რეგულირების სააგენტომ გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში. შესაბამისად საბოლოო შედეგი ჯერ არ დამდგარა.

კაპიტალური ხარჯი:

1. ძირითადი საშუალებები:

დაგეგმილ/დამტკიცებული გეგმის შესაბამისად სულ - 7 240 ლარი.

2. დამხმარე ნაგებობა 72098 ლარი

II.რეინვესტირება

რეინვესტირების თანხიდან (სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილებების მიმღებმა კომისიამ 2022 წლის 24 ნოემბრის სხდომაზე, ჩვენს ცენტრს რეინვესტირებისათვის დაუტოვა 2017-2020 წლების აკუმულირებული მოგება და 2021 წლის მოგება - სულ 103 086 ლარი), თქვენს სააგენტოსთან შეთანხმებით 2024 წლისთვის დაიგეგმილი და შესრულებული აქტივობები:

- მობილური გუნდისთვის ერთი ავტომობილის შეძენა. სავარაუდო თანხა 35 000 ლარი.
შედეგი: ავტომობილის შეძენის თაობაზე თანხმობის მისაღებად, ამ ეტაპზეც მიმდინარეობს მიმოწერა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან და შესყიდვების სააგენტოსთან.
- დაწესებულების ეზოში დაახლოებით 30კვ.მ ფართის აშენება და სამშენებლო შედეგი სავარაუდო თანხა 50 000 ლარი.
შედეგი: მერიიდან ნებართვის მოპოვების და პროექტზე მუშაობის პერიოდში გადაწყდა, რომ 30. კვ.მ-ის ნაცვლად აშენებულიყო 47,3 კვ მ-ის დამხმარე ნაგებობა, რადგან 60 კვ.მეტრამდე ფართის ასაშენებლად ნებართვის მოპოვება არის გამარტივებული, დაწესებულება მუდმივად განიცდის ფართის დეფიციტს და ასევე საბოლოოდ უფრო ხარჯთეფექტური იქნებოდა. აქედან გამომდინარე, პროექტის და სამშენებლო სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა **72 098** ლარი.

III. განვითარების გეგმა

მიზანი, განვითარების პერსპექტივები

შ.პ.ს. „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ არის სპეციალიზირებული სამედიცინო პროფილის დაწესებულება, რომელიც ქვემო ქართლის მოსახლეობას აწვდის ფსიქიკური ჯანმრთელობის დიფერენცირებულ სერვისებს.

ქ. რუსთავში დაწესებულებას აქვს შესაბამისი კეთილმოწყობილი 895,81კვ.მ-ის ორსართულიანი შენობადა ქ. მარნეულში რუსთაველის ქ 86-ში 35.88 კვ.მ. ფართი. მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, რათა დაცული იყოს ფსიქიატრიული მომსახურების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპი, დაწესებულებას ბოლნისში იჯარით აქვს აღებული ოფისი.

ცენტრის მიერ განხორციელებული სამედიცინო მომსახურება ძირითადად ფინანსდება ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში (სტაციონარული, ამბულატორიული, სათემო მობილური და კრიზისული კომპონენტები).

ასევე, შიდა სტანდარტით ახორციელებს იმ პირთა მომსახურებას, რომელსაც სახელმწიფო პროგრამა ვერ ფარავს. შიდა სტანდარტით შემოსული თანხა მოსახლეობის დაბალი

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის და ფსიქიატრიული მომსახურების სტიგმატიზაციის გამო (მოქალაქე ერიდება სპეციალიზირებულ დაწესებულებაში ფსიქიტრთან ვიზიტს) ერთიან შემოსავალში არის პროცენტულად დაბალი.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს შემდეგი ფსიქიატრიული სამსახურები:

- ✓ სტაციონარული სამსახური – ქ. რუსთავში 22 საწოლზე
- ✓ სათემო ამბულატორიული ფსიქიატრიული სამსახური – ქ. რუსთავში, მარნეულში და ბოლნისში (ემსაურება რუსთავის, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროს და წალკის რაიონის მოსახლეობას)
- ✓ სათემო მობილური გუნდების სამსახური – ქ. რუსთავში და მარნეულში (ემსაურება რუსთავის, გარდაბნის-თეთრიწყაროს, ბოლნისის და მარნეულის მოსახლეობას)
- ✓ კრიზისულ ინტერვენციულ სამსახური – ქ. რუსთავში (ემსაურება ქ. რუსთავის მოსახლეობას)

დაწესებულებაში დასაქმებულები არიან ფსიქიატრიის დარგის სხვადასხვა კვალიფიციური სპეციალისტები: ფსიქიატრები, ფსიქოლოგები, სოც.მუშაკები, ექთნები.

ადამიანური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება მზადაა გააფართოვოს სერვისები და განახორციელოს სხვა ფსიქიატრიული მომსახურებებიც.

IV. მართვა და პერსონალი

შპს „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“მართველობაში ყავს დირექტორი და დირექტორის მოადგილე სამედიცინო დარგში. აქვს ხუთი სამედიცინო სამსახური: სტაციონარული, სათემო სერვისების, ფსიქო-სოციალური, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის და ხარისხის მართვის. დაწესებულებაში ფუნქციონირებს ავტორიზებული აფთიაქი შესაბამისი საშტატო ერთეულით. რეგისტრატურა, არქივი, ფინანსური სამსახური, ტექნიკური სამსახური. საერთო ჯამში ცენტრში დასაქმებულია 78 ფიზიკური პირი. მათ შორის ადმინისტრაციაში 11. სამედიცინო პერსონალიდან: 12 ფსიქიტრი, 2 ფსიქოლოგი/ფსიქოთერაპევტი, 2 ფარმაცევტი, 4 სოც.მუშაკი, 16 ექთანი, 1 უმცროსი ექიმი, 9 ექთნის თანაშემწე, 5 სანიტარი, სხვა ექიმი კონსულტანტები და დამხმარე პერსონალი.

v. 2025 წლის ბიზნეს გეგმის პროექტი

შემოსავლები

2025 წელს დაწესებულების შემოსავლების უდიდესი ნაწილი კვლავ რჩება ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამა. უცვლელი რჩება დაწესებულების შემოსავლები ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამიდან. კერძოდ:

- ✓ ამბულატორიული კომპონენტი – წლიური 1 000 800ლარი
- ✓ მობილური გუნდების კომპონენტი - წლიური 374 400 ლარი

- ✓ კრიზისული მომსახურების კომპონენტი –წლიური 137 880ლარი
- ✓ ფსიქიკური სტაციონარული კომპონენტი–საშუალოდ წლიური 527 055

საერთო ჯამში დაწესებულების შემოსავლები 2025 წელს:

- ✓ ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამიდან მიღებული შემოსავალი შეადგინა 2 040 135 ლარი;
- ✓ შიდა სტანდარტით შემოსავალი, არაპროგრამული პაციენტებისგან - 26 300 ლარი.
- ✓ არასაოპერაციო შემოსავალი 13 161 ლარი. აქედან:
 1. უნივერსიტეტთან ხელშეკრულების საფუძველზე რეზიდენტურის პროგრამის განხორციელება, სავარაუდო შემოსავალი 7 000ლარი.
 2. თი ბისი ბაკში არსებული ანაბარის პროცენტის რეალიზაცია 6 161ლარი.

სულ დაწესებულების საპროგნოზო შემოსავალი იქნება 2 079 598 ლარი.

სავარაუდო ხარჯი 2 053 805 ლარი. მათ შორის არასაოპერაციო ხარჯი (უნივერსიტეტთან ხელშეკრულების საფუძველზე რეზიდენტურის პროგრამის პასუხისმგებელი პირის მომსახურება 4 200 ლარიპასუხისმგებელი პირის მომსახურება).

კაპიტალური ხარჯი

1. რეინვესტირების დამტკიცებული თანხიდან ავტომობილი შეძენა (2024 წელს ვერ მოხერხდა ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო) – 35 000 ლარი.
2. მაგიდა და საოფისე სკამები - 3 000 ლარი.
3. საოფისე კარადა (მარნეულის კაბინეტისთვის) – 1 5000 ლარი.
4. საოფისე სავარძელი 5 ცალი - 1 250 ლარი.
5. კონდენციონერი 5 ცალი (ეტაპობრივად უნდა მოხდეს ძველი 2011-2013 წლების კონდენციონერების ჩანაცვლება, ასევე ახალ ფართში საჭიროა 2 კონდენციონერი) – 5 000 ლარი.
6. სტაციონარულ სამსახურში დაზაიონებული სააბაზანო ოთახის კაპიტალური შეკეთება - 15 000 ლარი.

წმინდა მოგება 25 792ლარი.

დაწესებულებას 2025 წელს კვლავ ვალდებულებაში დარჩა სამედიცინო რეგულირების სააგენტოსთან კიდევ ერთი საქმე - საურავი 97 656 ლარი. (სარჩელი მოიცავდა 2015-2017 წლის სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლას და წლების მიხედვით გაიყო ორ საქმედ. აქედან ერთი სარჩელი დაწესებულებამ სრულად მოიგო). სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (რომელიც ჩვენი ცენტრის სასარგებლო იყო, რეგულირების სააგენტომ გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში. შესაბამისად საბოლოო შედეგი ჯერ არ დამდგარა.

შპს „ქ. რუსთავის ფსიქიკური

ჯანმრთელობის ცენტრი“-ს

დირექტორი

მანანა ელიაშვილი

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	221105	257941	212319
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	172890	170140	170089
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	0	0
მარაგები	141378	113697	148661
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	141378	113697	148661
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	24061	24310	250
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	622236	544698	567779
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	1181670	1110786	1099098
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	19767	10046	13957
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	116381	91842	92364
საგადასახადო ვალდებულებები	0	759	23091
გამომუშავებული შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	97656	142898	142898
სულ ვალდებულებები	233804	245545	272310
საკუთარი კაპიტალი			

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	668713	668713	668713
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	258862	176237	137784
გადაფასების რეზერვი	20291	20291	20291
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	947866	865241	826788
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1181670	1110786	1099098
სულ მოკლევადიანი აქტივები	559434	566089	531319
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	136148	102647	129412
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები	0	0	0

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	2066172	2057604
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	2066172	2057604
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-1579493	-1553497
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	486679	504107
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	0	0
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-23080	-23080
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-452392	-457725
სულ საოპერაციო ხარჯები	-475472	-480805
საოპერაციო მოგება	11207	23302
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	-7623
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	71418	22774
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	82625	38453
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	82625	38453
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0

სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	82625	38453
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	865241	826788
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	947866	865241
კვლევისა და განვითარების ხარჯები	0	0

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	2066172	2056313
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-2103008	-2010691
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-36836	45622
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	257941	212319
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	221105	257941